ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია **17.01.2024**

მხარეები:	**ოპერატორი/მიმწოდებელი**	**აბონენტი/შემსყიდველი**
სახელი/სახელწ./ UID:	შპს „მაგთიკომი“	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი
წარმომადგენელი	შპს „მაგთიკომის“ ოფისის მენეჯერი (წალენჯიხა)	დირექტორი
წარმომადგენლის სახელი/გვარი	ყურუა ტასო	მამუკა ქარდავა
საიდ. ნომერი	204876606	242741477
საკონტაქტო ტელ.:	(995 32) 217 00 00, 110011 (ცხელი ხაზი)	577924510
საკონტაქტო ელ.ფოსტა:	office@magticom.ge	skolamdeliagzrdis@gmail.com
მისამართი:	ქ. თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #7	წალენჯიხა,გამსახურდიას 9
საბანკო რეკვიზიტები:	GE96TB0600000899467899; GE66BG0000000241607901; GE81LB0113116112371050	ერთიანი სახაზინო ანგარიში

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან 4G/LTE Wifi მოდემის (შემდგომში - მოდემი) შესყიდვა. მოდემის სპეციფიკური მონაცემები მოცემულია მიმწოდებლის ვებგვერდზე. მოდემით შესაძლებელია მიმწოდებლის მობილური საკომუნიკაციო მომსახურებით სარგებლობა (მოდემში სიმ-ბარათის მოთავსებით) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებით (შემდგომში - მომსახურების ხელშეკრულება) გათვალისწინებული პირობებით.

1.2 მოდემის ღირებულება – 250.00 **(ორასორმოცდაათი ლარი)** დღგ-ს ჩათვლით. აქციის ან ფასდაკლების არსებობისას მისი პირობები მითითებული იქნება მიმწოდებლის ვებგვერდზე.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულება, „ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები“ (შემდგომში - სტანდარტული პირობები) და ვებგვერდზე გამოქვეყნებული მოდემის პირობები წარმოადგენენ ერთიან (მთლიან) ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდეგში - ხელშეკრულება). შემსყიდველი ამ დოკუმენტზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ეთანხმება ამ პუნქტში მითითებულ დოკუმენტებს.

1.4 შემსყიდველს მოდემი გადაეცემა მოდემის ღირებულების სრულად გადახდის შემდგომ.

1.5 მიმწოდებელი მობილური ინტერნეტ მომსახურებას გაუწევს შემსყიდველს მათ შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მომსახურების მისაღებად შემსყიდველმა ანგარიშსწორებისას უნდა მიუთითოს რომელი მომსახურების შესყიდვა სურს და რომელ სააბონენტო ნომერზე.

2. საგარანტიო პირობები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს მოდემის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში, დააბრუნოს ნივთობრივად უნაკლო მოდემი და უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, შემყიდველს დაუბრუნდება გადახდილი თანხა მომსახურების საფასურის - 5 ლარის გამოკლებით.

2.2 მოდემზე მოქმედებს შემდეგი საგარანტიო პირობები: თუ მოდემის არაადეკვატური მუშაობა გამოწვეული იქნება ქარხნული დეფექტით შემსყიდველს უფლება აქვს მოდემის მიღებიდან 30 დღის ვადაში მოითხოვოს მისი შეცვლა ან

ისარგებლოს ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებებით. თუ მიმწოდებელს არ ექნება შესაძლებლობა შეცვალოს მოდემი, შემსყიდველს დაუბრუნდება მოდემის საფასური. საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება მოწყობილობის მექანიკური ან ელექტრონული ზეგავლენით დაზიანების, მოწყობილობის არასწორი ექსპლუატაციის და მოპყრობის, შემსყიდველი დაუდევრობით გამოწვეული სხვა დაზიანებების, სტანდარტული პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

2.3 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოდემს აღმოაჩნდება ნაკლი. მოდემი ჩაითვლება ნაკლის მქონედ თუ შეუძლებელია მობილური ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობა (მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დაფარვის არეალში) ან შეუსაბამოა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. თუ მოდემის გადაცემის დროს ან საგარანტიო პერიოდში მოდემს აღმოაჩნდება ნაკლი, შემსყიდველმა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 14 დღის ვადაში უნდა მიმართოს მიმწოდებელს და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება ექნება მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შემსყიდველი ვეღარ ისარგებლებს ნაკლის გამოსწორების/ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით. ნაკლის აღმოჩენასთან დაკავშირებული შემსყიდველი უფლებები და ვალდებულებები მოცემულია სტანდარტულ პირობებში. პრეტენზიის ან კითხვების არსებობისას შემსყიდველს უფლება აქვს მიმართოს მიმწოდებელს ცხელი ხაზის ან ელ. ფოსტის საშუალებით.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარ, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით. უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 დღის განმავლობაში სრულად არ განხორციელდება ანგარიშსწორება, მიმწოდებელი უფლებამოსილია ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების პირველ გვერდზე მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 31.12.2024 ჩათვლით.

5. სადავო საკითხების გადაწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. დასკვნითი დებულებები

6.1 შემსყიდველი ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ზუსტად აღიქვამს ხელშეკრულების პირობებს/შინაარსს, სამართლებრივ შედეგებს და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას (ეთანხმება მას). ამასთან, მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების პირობის შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არამარტო სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

6.2 შემსყიდველი აცნობიერებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება მხოლოდ მოდემის ნასყიდობის პირობები. მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების სამართლებრივი საკითხები რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულებ(ებ)ით.

6.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

7. მხარეთა ხელმოწერები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
Taso Qurua Digitally signed by Taso Qurua Date: 2024.01.17 11:42:57 +04'00'	Mamuka Kardava Подписано цифровой подписью: Mamuka Kardava Дата: 2024.01.17 12:43:49 +04'00'